29 მაისი 2013
32

# ხელშეკრულება № 6

ქ. თბილისი

„24“ მაისი 2013წ.

სსიპ – „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“ შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად”, წარმოდგენილი სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილის **ივანე ვაშაყმაძის** სახით და თიღვის მუნიციპალიტეტი შემდგომში წოდებული „შემსყიდველად” მისი საკრებულოს თავმჯდომარე რევაზ ჭავჭავაძის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წამდებარე ხელშეკრულების საგანია სსიპ – „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ შემსყიდველისათვის სსიპ – „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“-ს სტრუქტურაში შემავალი დიდი მცხეთის არქეოლოგიურ სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალში პროგრამა ”საბავშვო არქეოლოგია”-ს ფარგლებში მომსახურების გაწევა.

## 2. მომსახურების ტარიფები და ხელშეკრულების ფასი

2.1. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის გასაწევი მომსახურების ტარიფები დგინდება სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის 2009 წლის 1 აპრილის №73 ბრძანების შესაბამისად და 1 მოსწავლისათვის ერთი გაკვეთილის ღირებულება შედგენს - 5 ლარს;

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება 2.1 პუნქტში მოცემული ტარიფების შესაბამისად შეადგენს 85 (ოთხმოცდახუთი) ლარს (რომელიც მოიცავს 17 მოსწავლეს);

## 3. ანგარიშწორების ფორმა და წესი

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ანგარისწორების ვადა განისაზღვრება მომსახურების გაწევიდან 10 კალენდარული დღით, ფაქტიურად გაწეული მომსახურების რაოდენობისა და ტარიფის შესაბამისად, რაც დასტურდება ორივე მხარის წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული მიღება–ჩაბარების აქტით.

3.2. მიმწოდებლის მხრიდან მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმოწერას განახორციელებს დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალის მმართველი - ნიკოლოზ მაისურაშვილი.

3.3 ანგარიშწორების ფორმაა უნაღდო ანგარიშსწორება ეროვნულ ვალუტაში.

## 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შემსყიდველს ხელშეკრულების დადებიდან 2013 წლის 5 ივნისამდე გაუწიოს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში მითითებული მომსახურება უნაკლოდ და ხარისხიანად;

4.2. **შემსყიდველი** ვალდებულია:

ა) სრულად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება;

ბ) წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება რეკვიზიტებში მითითებულ მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

გ) წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 პუქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ კვირაზე გადასახდელი თანხის 0.5%-ის ოდენობით.

## 5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

5.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

## 6. დავების გადაწყვეტა

6.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

6.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 7. ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1. თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში. აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს წერილობით 2 (ორი) დღით ადრე.

7.2 ერთ-ერთი მხარის მიერ წერილობითი შეტყობინების შესაბამისად ორივე მხარის შეთანხმების საფუძველზე.

## 8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ვალდებულებების საბოლოოდ შესრულებამდე.

## 9. ფორს-მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან ფორს–მაჟორის შემთხვევაში.

## 10. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი – შემსყიდველს.

## 11. მხარეთა რეკვიზიტები:

სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“
მისამართი: ქ. თბილისი, თაბუკაშვილი №5
ტელ: (+995 32) 93-13-49

საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. №GE16BG0000000901913700
ს.ს „საქართველოს ბანკი“ ც/ფ,
ბ/კოდი: 220101502,
ს/კ- 204562311

გენერალური დირექტორის მოადგილე

ივანე ვაშაყმაძე

“თიღვის მუნიციპალიტეტი”
მისამართი: ქ. გორი,
გრიგოლ ფერაძის №5

საბანკო რეკვიზიტები:
საიდენტიფიკაციო კოდი –240892986
ბანკი: ს/ს “ლიბერტი ბანკი”
ბანკის კოდი:
ანგარიშის ნომერი: GE 98LB0120111431965000
მფო:220101488

საკრებულოს თავმჯდომარე

რევაზ ჭავჭავაძე

ხელშეკრულების

დანართი № 1

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის
დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური
დირექტორის 2009 წლის 1 აპრილის
№ №73 ბრძანების
დანართი №1

| № | | |
|---|---|---|
| 1 | *შესასვლელი ბილეთები* | *ღირებულება* |
| 1.1 | მოზრდილთათვის | 3 ლარი |
| 1.2 | ჯგუფი (10 ადამიანი და მეტი) | 2 ლარი |
| 1.3 | მოსწავლეთათვის (სტუდენტებისათვის) | 1 ლარი |
| 2 | საექსკურსიო მომსახურება | |
| 2.1 | გიდის (ექსკურსიამძღოლის) მომსახურება | 15 ლარი |
| 2.2 | ტურისტული კომპანიის მიერ შემოყვანილი გიდის მოსაკრებელი* (შეჩერებულია) | 10ლარი |
| 3 | *მუზეუმში დაცული ექსპონატების ან მუზეუმის/მუზეუმ-ნაკრძალების ხედების ფოტო და ვიდეო გადაღება* | |
| 3.1. | | |
| 3.2 | | |
| 4 | | |
| 5 | *არქეოლოგიური მომსახურება* | |
| 5.1 | | |
| 5.2 | | |
| 5.3 | | |
| 6 | სასწავლო–საგანმანათლებლო პროგრამები | |
| 6.1 | საბავშვო არქეოლოგია (1 ბავშვი) | 5 ლარი |

*შენიშვნა: ( შეჩერებულია)
ამ დანართის 2.2 პუნქტის დებულება არ ვრცელდება იმ ტურისტულ კომპანიებზე, რომლებიც სარგებლობენ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ვაუჩერით